პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი
სამშაბათი
22 დეკემბერი
№ 293 (18235)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ლ. ი. ბრეჟნევის პასუხი

ამერიკის „ენ-ბი-სის“ ტელეკომპანიის კითხვებზე

ამერიკის „ენ-ბი-სის“ ტელეკომპანიამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს ინტერვიუ სთხოვა. ქვემოთ მოგვყავს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის პასუხი „ენ-ბი-სის“ შეკითხვებზე.

კითხვა: არსებობს თუ არა იმის შესაძლებლობა, რომ ჟენევის მოლაპარაკებაზე 1982 წელს მიღწეულ იქნეს საფუძველი შეიარაღებისადმი კონტროლის ხელშეკრულების დადების შეთანხმებისათვის?

პასუხი: დიახ, არსებობს. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი შეთანხმებას ესწრაფვის. მაგრამ, რა თქმა უნდა, აქ საქმე მარტო ჩვენზე როდია დამოკიდებული. არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა პოზიციას დაიდგამს შეერთებული შტატები.

მოლაპარაკების წარმატების თავიდათავი ის არის, რომ ორივე მხარემ დაიცვას თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპი. ეს პრინციპი არ უნდა დაირღვეს. მორიგება უნდა ითვალისწინებდეს იარაღის სისტემათა თავისებურებებს, რომლებიც მხარეებს არა აქვთ ერთნაირი, ითვალისწინებდეს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების გეოგრაფიული მდებარეობის განსხვავებებს და მთელ რიგ სხვა ფაქტორებს. სასწორის ორივე პინა ნამდვილად გაწონასწორებული უნდა იყოს.

მიმდინარე მოლაპარაკების მნიშვნელობას დიდი მტკიცება არ სჭირდება: მის შედეგზეა დამოკიდებული, დაცხრება თუ გაძლიერდება ბირთვული ომის წარმოშობის საფრთხე.

კითხვა: მოელით და მხარს უჭერთ თუ არა რეიგანისა და ბრეჟნევის 1982 წლის უმაღლესი დონის შეხვედრას? თუ მოელით, — რატომ?

პასუხი: ჩვენ შეერთებულ შტატებთან აქტიური დიალოგის, კერძოდ უმაღლესი დონის შეხვედრის მომხრენი ვართ. ეს ნათლად ითქვა ჯერ კიდევ მიმდინარე წლის თებერვალში ჩვენი პარტიის ყრილობაზე. და მე ახლაც ამ აზრისა გახლავართ. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ერთმანეთის პოზიციებისა და განზრახვების უკეთ გაგებისათვის, სერიოზულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებისათვის უმაღლესი დონის შეხვედრები უფრო სასარგებლოა, ვიდრე სახელმწიფოთა ურთიერთობის ყოველი სხვა ფორმა. რა თქმა უნდა, იმისათვის, რომ ასეთ შეხვედრას წარმატება მოჰყვეს, შესაბამისი მომზადებაა საჭირო.

კითხვა: როგორ გგონიათ, შეიმჩნევა თუ არა შეშფოთების ზრდა იმის გამო, რომ აღმოსავლეთი და დასავლეთი მიდიან კონფრონტაციისაკენ, რომელიც უდიდეს საფრთხეს გვიქმნის, ის კი არა, ომსაც გვიქადის. იზიარებთ თქვენ ამ შეშფოთებას თუ არა?

პასუხი: ვიზიარებ. მაგრამ თვით შეკითხვას მე სხვაგვარად დავსვამდი: რა უნდა ვიღონოთ საამისოდ, რომ არ იყოს კონფრონტაცია? და აი, ჩემი პასუხი: — საჭიროა მთავრობებმა, სახელმწიფო მოღვაწეებმა ბოლომდე შეიგნონ, რომ პლანეტის ყველა ხალხისათვის მთავარია ხვალინდელი დღის რწმენა. და, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო საჭიროა, რომ ამ რწმენამ ხორცი შეისხას სახელმწიფოთა პრაქტიკულ პოლიტიკად. უნდა დავაცხროთ გამალებული შეიარაღების შემდგომი დაჩქარების ხაზში ვნებები, შევანელოთ დაძაბულობა, ჩავაქროთ კრიზისული სიტუაციების ხაზში კერები, ხელი ავიღოთ უგუნური გამალებული შეიარაღების პოლიტიკაზე, დავუბრუნდეთ სახელმწიფოთა შორის ნორმალური ურთიერთობის, ერთმანეთის პატივისცემის, ერთმანეთის კანონიერი ინტერესების გაგებისა და გათვალისწინების გზას. საჭიროა სერიოზულად, საქმიანად მოვკიდოთ ხელი შეიარაღების შეზღუდვა-შემცირების საკითხებს. სწორედ ყოველივე ეს ერთად, დაგვეხმარება აღმოვფხვრათ ბირთვული ომის საფრთხე.

კითხვა: რა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას შესთავაზებდით თქვენ ორივე ზესახელმწიფოს, რათა წინააღუდგნენ კონფრონტაციის გაძლიერების საფრთხეს?

პასუხი: მე ვფიქრობ, თქვენ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს გულისხმობთ. თუმცა ჩვენ „ზესახელმწიფოს“ ტერმინი უადგილოდ მიგვაჩნია.

რა თქმა უნდა, თუ გავითვალისწინებთ ორივე ქვეყნის გავლენას საერთაშორისო ასპარეზზე, მათი ძალისხმევის უპირველესი დარგია განიარაღების პრობლემა. ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების თაობაზე მოლაპარაკების გარდა, რომლის შესახებაც მე უკვე მოგახსენეთ, დღის წესრიგში მთელი სიგრძე-სიგანით დგება და, ალბათ, ამერიკის მხარეც ხედავს ამას — სტრატეგიული შეიარაღების, როგორც ყველაზე მძლავრი და საშიში შეიარაღების, შეზღუდვისა და შემცირების ამოცანა. ჩვენ მზად ვართ განვაახლოთ მოლაპარაკება. ახლა ჯერი ვაშინგტონზეა.

შეგვეძლო დაგვესახელებინა აგრეთვე ამ დარგის მთელი რიგი სხვა ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიც არის ქიმიური იარაღის აკრძალვა, ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვა. მათს გადაჭრაში ძვრა რეალურია, თუ, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები აქტიურ როლს შეასრულებენ და საკმარის ურთიერთგაგებას გამოიჩენენ.

ახლა, საკუთრივ, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ორმხრივ ურთიერთობაზე. უკანასკნელ დროს აქ ხშირად ჩნდება მისი ნორმალური, ურთიერთხელსაყრელი განვითარების ხელოვნური დაბრკოლებები, იქნება ეს სავაჭრო, კულტურული, მეცნიერული თუ სხვაგვარი ურთიერთობა. ხომ გაცილებით აჯობებდა ჩვენი ქვეყნების ხალხებისათვის, ასეთი დაბრკოლებები ერთხელ და სამუდამოდ რომ აღმოფხვრილიყო?!

ეს, ასე ვთქვათ მინიმუმია. ოღონდ ისეთი მინიმუმი, რომელიც შეიძლება გახდეს ჩვენს ქვეყნებს შორის ნდობის აღდგენისა და უკეთესი ურთიერთობის გზის დასაწყისი, რაც უთუოდ მოახდენდა გავლენას მსოფლიოს საერთო ვითარების გაჯანსაღებაზეც. არა მგონია, ამერიკელები ამით ჩვენზე ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი.

კითხვა: თქვენ აშკარად იწონებთ დასავლეთ გერმანიის, როგორც მოსკოვ-ვაშინგტონის შუამავლის როლს. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ეს როლი მომავალში შეიძლება გაიზარდოს?

პასუხი: ჩვენ, ბუნებრივია, მივესალმებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკის იმ ტენდენციებს, რომლებიც ხელს უწყობენ დაძაბულობის შენელებას და მშვიდობიან თანამშრომლობას, რაზეც ჩვენ, კერძოდ, ვიმსჯელეთ ბონში ჩემი ამასწინანდელი ვიზიტის დროს. საბჭოთა კავშირი პოზიტიურად ეკიდება ნებისმიერი სხვა ქვეყნის — დიდი, საშუალო თუ პატარა ქვეყნის მეცადინეობასაც, თუ მისი მიზანია პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესება, საჭიროებისა დაპირისპირების დონის შემცირება. ჩვენ თავად ვიღვწით და მზად ვართ კვლავაც ვიღვწოთ ამ მიმართულებით.

ნურავის შეეპარება ეჭვი, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა თუ სხვა ნებისმიერი სახელმწიფოს შესახებ ამ ეჭვიდან ჩვენში გაგებასა და გამოხმაურებას პოვებს. ჩვენთვის პატიოსნად გამოწვდილი მარჯვენა არავის დარჩება უპასუხოდ.

რამდენადაც ჩემი ინტერვიუ ახალი, 1982 წლის დამდეგს ემთხვევა, მინდა ყველა ამერიკელს ვუსურვო კეთილდღეობა, პირადი ბედნიერება და, რაკი თქმა უნდა, მშვიდობა და კიდევ ერთხელ მშვიდობა.

3 დარტის ნებით, სამშობლოს საკეთილდღეოდ

22 დეკემბერი ენერგეტიკოსის დღეა

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრია და სოფლის მეურნეობა მძლავრ ელექტროენერგეტიკულ ბაზას ეყრდნობა. ჰიდროელექტროსადგურებისა და თბოელექტროსადგურების სიმძლავრეების ყოველწლიური ზრდის მიხედვით საბჭოთა კავშირი პირველობს მსოფლიოში.

დღეისათვის ქვეყნის ენერგოსისტემაში თავისი წვლილი შეაქვს საბჭოთა საქართველოს. მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის ენერგოსისტემის სიმძლავრენი 1,5 მილიონი კილოვატით გაიზარდა. ამჟამად მთელი დატვირთვით მუშაობს ენგურჰესის ხუთი აგრეგატი. ჯვრის ხეობაში გრძელდება თაღოვანი კაშხალის აგება, რომლის საპროექტო სიმაღლემდე ორმოციოდე მეტრი დარჩა.

დიდი სამუშაოები განხორციელდა სოფლის კომუნალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ელექტრიფიცირებულია ყველა საბჭოთა მეურნეობა და პრაქტიკულად ყველა კოლმეურნეობა. ამას ხელი შეუწყო მთელი რიგი ელექტროგადამცემი და მათ შორის ომალოს 35 კილოვატი ძაბვის 20-კილომეტრიანი ხაზის მშენებლობამაც, რომელიც ახლახან დამთავრდა.

მიდროელექტროსადგურების მშენებლობა ცხოვრების თანამედროვე ეტაპზე საშუალებას იძლევა კომპლექსურად გადაიჭრას ენერგიის გამომუშავების, მორწყვის, მრეწველობისა და მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფის, მეთევზეობისა და ნაოსნობის განვითარების საკითხები.

სურათზე: „საქმთავარენერგოს“ დისპეტჩერები ი. ჭოგბრიშვილი და ნ. შომანია ცენტრალურ სადისპეტჩერო პულტთან.

გ. კიკვიძის ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფლიური გეგმა — ვადამდე

თბილისის საფუარის ქარხნის კოლექტივი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა მოსკოვის მოწინავე საწარმოების მოწოდებას „სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს — 60 დამკვრელური შრომითი კვირა!“ თითოეულ საამქროსა და უბანს შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, რამაც დიდად შეუწყო ხელი საწარმოს კოლექტივის დიდნაყოფიერ შრომას. 5 დეკემბრისათვის შესრულდა წლიური გეგმა. გამოშვებულია 835 ათასი მანეთის პროდუქცია.

ქარხნის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს წლის დამლევამდე კიდევ 220 ათასი მანეთის საფუარი აწარმოოს. შრომაში მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ მუშა ე. სოფრომაძე, მეაპარატური ე. ქავთარაძე, შემფუთავი ჭ. ჭობონელიძე და სხვები. ისინი ყოველდღიურ დავალებას დიდი დაჯაჭარებით ასრულებენ. („კომუნისტის“ კორ.).

„კომუნისტის“ ეკონომიკური მიმოხილვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი შეეხო სამეურნეო მშენებლობის ყველაზე აქტუალურ საკითხებს და მათი გადაწყვეტის გზებს. კერძოდ, — თქვა მან, — სასურსათო პრობლემა — როგორც სამეურნეო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისითაც — მთელი ხუთწლედის ცენტრალური პრობლემაა. მისი გადაწყვეტის საფუძველია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ჩქარი ტემპი.

ცნობილია, რომ სკკპ XXVI ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებას, რომლის ძირითადი ამოცანაა საიმედოდ უზრუნველყოს ქვეყანა სურსათითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით. სასურსათო პროგრამის წარმატებით რეალიზაციაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო მშენებლობას. რესპუბლიკაში ამ ამოცანის გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ეფექტიან მუშაობაზე.

● ●

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ მიაღწია გარკვეულ წარმატებებს — უმჯობესდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. ამასთან ერთად სამინისტროს სისტემაში არის ნაკლოვანებები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს საბოლოო შედეგებზე.

ჯერ კიდევ მეათე ხუთწლედში სასოფლო მშენებლობის ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა შესრულდა მხოლოდ 51,2 პროცენტით, საამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება გაძვირდა 12,4 მილიონი მანეთით, შარშან 634 ობიექტის ნაცვლად საექსპლოატაციოდ გადაეცა 529 ობიექტი, აქედან მხოლოდ 440 იყო გეგმით გათვალისწინებული.

სამწუხარო ფაქტია — სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ბევრმა ორგანიზაციამ ვერ შეასრულა მოგების გეგმა. გასულ ხუთწლედში გეგმით გათვალისწინებული 17,2 მილიონი მანეთი მოგების ნაცვლად 11,4 მილიონი მანეთით იზარალეს. არ სრულდება მოგების გეგმა მიმდინარე წელსაც. განვლილ 6 თვეში 170 პირველადი ორგანიზაციიდან მოგების გეგმა შეასრულა მხოლოდ 57-მა; ამის ძირითადი მიზეზებია ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის და სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის გეგმების შეუსრულებლობა, საამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების ზრდა და სხვა.

მიმდინარე წლის 11 თვეში დროზე არ ამოქმედებულა გეგმით გათვალისწინებული რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტი, მაგალითად, სუჯუნის მეცხოველეობის კომპლექსი. დამკვეთი — რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საჯარო ორგანიზაცია — სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრე-ტი. დამამაყოფილებელი არ არის მშენებლობის ტემპი სახალხო მეურნეობისთვის მნიშვნელოვან ობიექტებზე: ეგრისის მეცხოველეობის კომპლექსი (სამუშაოებს აწარმოებს № 5 ტრესტი), დიდოფლის მებოცვრეობის კომპლექსი (სამუშაოებს აწარმოებს № 3 ტრესტი), ზუგდიდის მეფრინველეობის ფაბრიკა (სამუშაოებს აწარმოებს № 5 ტრესტი) და სხვა. ჩამოთვლილი ყველა მშენებარე ობიექტის დამკვეთია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მთელ რიგ შემთხვევებში საექსპლოატაციოდ გადაცემული ობიექტების საპროექტო სიმძლავრეების დროულად ათვისება არ ხდება ზშირად საწმენდი ნაგებობების მშენებლობა უხარისხოდ წარმოებს, რაც სასოფლო საწარმოების ექსპლოატაციისას გარემოს გაჭუჭყიანებას იწვევს.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საიჯარო სამუშაოთა გეგმა 119 პირველადი საიჯარო ორგანიზაციიდან შეასრულა მხოლოდ 31-მა.

საამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზები ის არის, რომ ნაკლოვანებანი მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, სათანადოდ არ ინერგება შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდები, არის სამუშაო დროის დანაკარგები, მშენებლობა უხარისხოა, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით ობიექტებს დროულად არ უზრუნველყოფენ, თავის დროზე არ ათავისუფლებენ ტერიტორიის მშენებლობებისათვის, ასამოქმედებელ ობიექტებს ურიტმოდ უზრუნველყოფენ ტექნოლოგიური მოწყობილობით, ცუდად მუშაობენ ქვემოიჯარე ორგანიზაციები...

ბევრი მშენებარე ობიექტი უზრუნველყოფილი არ არის ხარისხიანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით, რის შედეგადაც მშენებლობის პროცესში ხდება ხარჯთაღრიცხვების გადაჭარბება, როგორც წესი, მისი გადიდების მიმართულებით. მაგალითად, მშენებლობის პროცესში 2,2-ჯერ გაიზარდა გორის მეცხოველეობის კომპლექსის, 10 პროცენტით თეთრი წყაროს მებოცვრეობის კომპლექსის ღირებულება და ა. შ.

სამინისტროს სისტემაში ზშირად ირღვევა მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები. მაგალითად, დიდი ჯახაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მშენებლობის ხანგრძლივობა 6 წლით აღემატება ნორმით გათვალისწინებულს, კლდეკარის მეცხოველეობის კომპლექსისა — 3 წლით და ა. შ.

ჩამორჩენაა საბინაო მშენებლობაშიც. წლეულს განვლილ სამ კვარტალში საექსპლოატაციოდ გადაეცა წლიური გეგმით გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლების მხოლოდ მესამედი. არ შესრულებულა საბინაო მშენებლობის ათი თვის გეგმა. სამინისტროს მუშაობაში გამოიკვეთა ერთი არაანსაღი ტენდენცია. ნაცვლად იმისა, რომ მთელი ძალები და რესურსები გეგმით გათვალისწინებულ ობიექტებს მონდარდეს და ისინი საექსპლოატაციოდ გადაეცეს, ხდება პირიქით. ასეთი შემთხვევები ხდება სამინისტროს № № 1, 2 და 6 ტრესტებში.

1981 წლის იანვარ-ნოემბერში კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები არ შესრულებულა მეტად მნიშვნელოვან ობიექტებზე: თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკის (შესაბამისად 95 და 97 პროცენტი) და ოჩამჩირის კომბინრეფრენტი საკვების ქარხნის (შესაბამისად 90 და 92 პროცენტი) მშენებლობებზე. ამაზე ყურადღება უნდა გაამახვილოს უპირველესად სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხელმძღვანელობამ.

ახლებურად მუშაობის პირობებში მშენებლობის საბოლოო შედეგების მიხედვით მოიჯარისათვის გეგმის მთავარი ღირებულებითი მაჩვენებელია სასაქონლო საამშენებლო პროდუქციის მოცულობა. ამიტომ სამშენებლო ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ასამოქმედებელ ობიექტებსა და რესურსების ეკონომიზე. სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის მოცულობის გეგმის შესრულების კვალობაზე ხდება დამკვეთთან ანგარიშსწორება, ხოლო მიღებული მოგების საფუძველზე — ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ფორმირება. სამშენებლო ორგანიზაციებმა დამკვეთებთან ერთად დროულად უნდა იზრუნონ სასაქონლო საამშენებლო პროდუქციის რეალური და ოპტიმალური გეგმების ფორმირებისათვის და ამ გეგმების უთუო შესრულებისათვის.

რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ტრესტებს ფაქტობრივად ჯერ არ დაუწყიათ ახლებურად მუშაობა. სასაქონლო სამშენებლო პროდუქციაც კი დაიგეგმა არასწორად და მისი გეგმის შესრულებაში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებები. საჭიროა სამინისტრომ და საამშენებლო ტრესტებმა ამთავითვე იზრუნონ სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის 1979 წლის 12 ივლისის დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის დანერგვაზე. ამ მიმართულებით მუშაობა რადიკალურად უნდა გარდაქმნას.

სასოფლო მშენებლობის სამინისტროში მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში დაიგეგმა სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის 40 პროცენტზე მეტი. თერმიტ თვეში კი შესრულდა სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის წლიური გეგმის მხოლოდ 39 პროცენტი. ამავე დროს სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის გეგმა არ შეუსრულებია სამინისტროს საიჯარო ორგანიზაციების უმრავლესობას. განსაკუთრებით ჩამორჩენიან №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 12 და 13 ტრესტები. არის შემთხვევები, როცა სამშენებლო ტრესტებს სახელმწიფო მიმღები კომისიების მიერ დამტკიცებული აქტების გარეშე. სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის ფაქტობრივ შესრულებაში შეაქვთ ხოლმე ობიექტები.

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროსა და მის ორგანიზაციებში სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის მაჩვენებლებზე მეტი ყურადღება ექცევა საიჯარო სამუშაოთა საერთო მოცულობის მაჩვენებელს, მისი მოცულობა მიმდინარე წლის 11 თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2 პროცენტით შემცირდა.

ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც. რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში უკანასკნელ წლებში არ სრულდება შრომის ნაყოფიერების გეგმა. 1980 წელს იგი შესრულდა 98,4 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების ზრდის 9 თვის გეგმა შესრულდა მხოლოდ 96 პროცენტით. დამაკმაყოფილებელი არ არის შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ამავე დროს საშუალო ხელფასის ზრდის ტემპი აღემატება შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს.

სასოფლო მშენებლობის სამინისტროში დიდია სამუშაო დროის დანაკარგები. შარშან აღრიცხულმა სამუშაო დროის დანაკარგებმა შეადგინა 34,8 ათასი კაცდღე ანუ 1,82 დღე ერთ მუშაზე. დროის ფაქტობრივი დანაკარგები კი, როგორც შემოწმებებმა ცხადყო, რამდენჯერმე აღემატება საანგარიშგებო მონაცემებს. დიდია აგრეთვე კადრების დენადობა.

შრომის ნაყოფიერების ზრდა დიდად არის დამოკიდებული სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის და კომპლექსური მექანიზაციის დონის ამაღლებაზე, სამშენებლო ტექნიკის უკეთ გამოყენებაზე. მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო მშენებლობის სამინისტროში 1980 წელს ფონდიკუგება 13 პროცენტით შემცირდა.

მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლების და შრომის ნაყოფიერების გადიდების მნიშვნელოვანი რეზერვია წარმოების და შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების დანერგვა. ამ მხრივ სერიოზული ნაკლოვანებებია სასოფლო მშენებლობის სამინისტროში. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გეგმით გათვალისწინებული 320 ბრიგადის ნაცვლად მხოლოდ 286-ია გადაყვანილი ნ. ზლობინის მეთოდზე. მთელ რიგ შემთხვევაში ბრიგადული იჯარის დანერგვა ფორმალური ხასიათისაა. სამშენებლო ტრესტების ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ამ პროგრესული მეთოდის ფასობრივ გავრცელებას. ზოგიერთი ბრიგადა ვერ იყენებს ამ პროგრესული, საყოველთაოდ აღიარებული მეთოდის მთელ სიკეთეს.

სასოფლო მშენებლობის სამინისტროში სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოთა ფაქტობრივი თვითღირებულება 1980 წელს საგეგმოსთან შედარებით გაიზარდა 2,9 პროცენტით, ხოლო 1981 წლის პირველ ნახევარში ერთი პროცენტით. დანახარჯების მუხლების მიხედვით გაძვირება ძირითადად მოდის მასალებსა და მუშების ძირითად ხელფასზე. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების გაძვირების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია დიდი სატრანსპორტო ღანახარჯები, რაც წამატებებით აიხსნება.

როგორც აღვნიშნეთ, მოგების გეგმას სისტემატურად ვერ ასრულებს ბევრი საიჯარო ორგანიზაცია, ყველაზე ცუდი საფინანსო მაჩვენებლები აქვთ №№ 1, 3, 5, 6, 7, 11, 12 და 15 ტრესტებს.

რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებები მნიშვნელოვან წილად იმის ბრალია, რომ ჯერ კიდევ არ ხდება სამშენებლო ორგანიზაციების ხუთწლიანი და წლიური გეგმების შემუშავება ეკონომიკუო და საინჟინრო გაანგარიშებათა საფუძველზე. ბევრი სამშენებლო ორგანიზაციის ხუთწლიანი და წლიური გეგმები საკმაოდ დაბუნდოვნებული არ არის. მთელ რიგ შემთხვევებში გეგმებში ინიშნებიან სამშენებლო ნაგებობების ფასობრივ ეფექტიანობის შესაძლებლობებსა და რეზერვებს.

რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროში 1981 წლისათვის შემუშავდა ტექნიკური განვითარების გეგმა და ორგანიზაციულ-სამეურნეო საქმიანობის ღონისძიებები. ამ დოკუმენტებში შრომის ნაყოფიერების ზრდა დაგეგმილია ფაქტორების მიხედვით, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირება-დანახარჯთა ელემენტების მიხედვით. ამ დოკუმენტების შემუშავებას საფუძვლად დაედო ეკონომიკური და საინჟინრო გაანგარიშებები. მაგრამ ბუთწლიანი და წლიური გეგმების შემუშავებისას ისინი უგულებელყვეს. სასოფლო მშენებლობის წარმოების გეგმების ფორმირებისას უნდა ამაღლდეს საინჟინრო-ეკონომიკური გაანგარიშებათა როლი, რაც ხელს შეუწყობს რეალური, დასაბუთებული და დაძაბული გეგმების შედგენას.

როგორც ვნახეთ, ახლებურად მუშაობის პირველ წელს რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში გამოვლინდა არაერთი სიძნელე და ნაკლი, რომლებიც ხელს უშლის მშენებლებს მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევაში. დროა, მშენებლებმა ყურადღება გაამახვილონ დაგეგმვის ახალი სისტემის მთელი კომპლექსის დანერგვაზე, ობიექტებისა და სიმძლავრეების დადგენილ ვადებში საექსპლოატაციოდ გადაცემაზე, საამშენებლო სამშენებლო პროდუქციის გეგმების უთუო შესრულებაზე. მუშაობის ამგვარი გაფდმა უზრუნველყოფს სასოფლო მშენებლობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებას.

რ. ტყემალაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის მშენებლობის განყოფილების უფროსი რეფერენტი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ე. გაფრინდაშვილი,
„კომუნისტის“ ეკონომიკურ მიმოხილველი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

როცა უგულებელყოფენ სამეურნეო ანგარიშიანობას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი და საქართველოს მწერალთა კავშირი აწყობენ სამეცნიერო კონფერენციას, მიძღვნილს

ლ. ი. ბრეჟნევის „მოგონებებისადმი“

კონფერენცია გაიმართება დღეს, 22 დეკემბერს, დღის 3 საათზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის საჯარო დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, 29).

ПРАВДА
22 ДЕКАБРЯ 1981 ВОСКРЕСЕНИЕ

განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი!

პასუხისმგებლობა მთავარი რეზერვია

ამ დღეებში ჩვენს რესპუბლიკაში გაიმართა საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტების პლენუმები, პარტაქტივებისა და პირველადი პარტორგანიზაციების კრებები, რომლებზეც კომუნისტები საქმიანად, დიდი დაინტერესებით განიხილავდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგებსა და თავიანთ გადაუდებელ ამოცანებს პლენუმის გადაწყვეტილებების, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით. როგორც მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის, ისე მომავალი წლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ადგილობრივი გეგმებისა და ბიუჯეტების პროექტების განხილვის დროს მთავარი ყურადღება მიექცა სახალხო მეურნეობაში ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვების ძიებასა და სწრაფად ამოქმედებას, მინდობილი სამუშაოსათვის თითოეული მუშაკის, თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობის გაძლიერებას, ადამიანთა შემოქმედებითი აქტიურობისა და ინიციატივის განვითარებისათვის პარტიულ-ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სრულყოფა-გაუმჯობესებას.

დღეს ვაქვეყნებთ პარტიის საოლქო კომიტეტების პლენუმების მოკლე ანგარიშებს.

აფხაზეთი

მზიური აფხაზეთის კომუნისტები, მშრომელები განსაკუთრებული მონდომებით იღვწიან, ბეჯითად შრომობენ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულებისათვის.

ეს ერთხელ კიდევ ნათლად გამოჩნდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე, რომლის მონაწილეებმა განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის შედეგები და საოლქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები პლენუმის გადაწყვეტილებებისა და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეოთხე პლენუმის გადაწყვეტილებების მიხედვით.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ადლეიბამ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა გააანალიზეს ადგილებზე არსებული საქმის მდგომარეობა, დასახეს ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების უფრო ეფექტიანი გზები, იმსჯელეს შრომითს კოლექტივებში პოლიტიკურ-იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის შემდგომი სრულყოფის ფორმებსა და მეთოდებზე.

მათ ხაზგასმით აღინიშნეს, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის მთელი კომპლექსის ფუნქციონირების დონის ამაღლებაში ღირსეული წვლილი შეაქვთ აფხაზეთის ქალაქებისა და სოფლების მშრომელებს. უკანასკნელ წლებში ავტონომიურმა რესპუბლიკამ არსებითს წარმატებებს მიაღწია თავის მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში, ამასთან ერთად სასურსათო პროგრამის ძირითადი ნაწილის შესრულებაში. ამას ნათლად მოწმობს ხუთწლედის პირველი წლის გასული თერთმეტი თვის შედეგები. ამ პერიოდში სახელმწიფოს მიეყიდა 94 ათას ტონაზე მეტი ხალის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 114 პროცენტია. ასევე ჩაბარებულია ათასობით ტონა ხორცი, რძე, მილიონობით ცალი კვერცხი, რაც დაგეგმილ მიჯნებს შეესაბამება. აფხაზეთის პლანტაციებში მთავრდება ციტრუსოვანთა კრეფა. მიმდინარე სეზონში სახელმწიფოს მიეყიდება დაახლოებით 42 ათასი ტონა მანდარინი, 720 ტონა ფორთოხალი და 700 ტონა ლიმონი.

პლენუმის მონაწილეები დიდი ინტერესით ლაპარაკობდნენ მიმდინარე ხუთწლედის პერსპექტივებზე, იმაზე, თუ რა ღონისძიებები ისახება სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების შემდგომი ზრდისათვის. აღინიშნა, რომ ჰექტარობრივი მოსავიანობის ამაღლებისა და ახალი პლანტაციების გაშენების გზით 1985 წლის ბოლოსათვის ციტრუსების წარმოება 101 ათას ტონამდე, ხოლო ჩაის ნედლეულისა — 103 ათას ტონამდე გაიზრდება.

მაგრამ, როდესაც ასეთი კარგ შედეგებსა და პერსპექტივებზე საუბრობდნენ, პლენუმის მონაწილეები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ აგრეთვე ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს და ხარვეზებს, აღნიშნავდნენ, რომ აფხაზეთის ეკონომიკის ყველა დარგში ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვია.

პლენუმზე ეკონომიკის მკაცრი რეჟიმის დამყარების, კაპიტალურ მშენებლობათა ძირფესვიანი გადალაგებისა და წინსვლის, პირუტყვის სანიმუშო გამოზამთრების უზრუნველყოფის, სამრეწველო საწარმოებში წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ან მოსახლეობის მასობრივი მოთხოვნილების საქონლით უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესახებ საუბრისას მთავარი ყურადღება ექცეოდა მკაცრი სახელმწიფო და პარტიული დისციპლინის დაცვის აუცილებლობას, მაღალ ორგანიზებულობასა და მომთხოვნელობას.

ამასთან დაკავშირებით, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყველა შრომითის კოლექტივში აუცილებელია ორგანიზაცია გაუკეთდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებული მითითებების მიხედვით 1982 წელსა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედში ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და სოციალური განვითარების დარგში. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუხიძემ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღინიშნეს, რომ მასშტაბური გარდაქმნები მოხდა ავტონომიური რესპუბლიკის მთის რაიონების ეკონომიკური და სოციალურ-კულტურულ განვითარებაში, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 8 თებერვლის ცნობილი დადგენილების შედეგია. პლენუმზე აღინიშნა ქედის რაიონის მშრომელთა დიდი წარმატებები სოფლის მეურნეობის ყველა დარგში.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მიღწევები გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ყოველ კოლექტივს მეტი მონდომებით რომ ეშრომა. გეგმების კორექტირებას მიმართა 11 საწარმომ, სიძნელეებია მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში. განსაკუთრებით ჩამორჩებიან მშენებლები. 10 თვის გეგმა მათ 75,5 პროცენტით შეასრულეს, ვერ დაამთავრეს ასამოქმედებელი ობიექტები — სასტუმროები ბათუმსა და ქობულეთში. ასევე ჩამორჩება საბინაო მშენებლობა. წლიური გეგმით გათვალისწინებული 60.400 კვადრატული მეტრი ფართობის ნაცვლად 10 თვეში საექსპლოატაციოდ მხოლოდ 24.400 კვადრატული მეტრი ვადასცეს.

პლენუმზე აღინიშნა, რომ წელს სახალხო მეურნეობის განვითარების თითქმის ყველა საკითხის განხილვა უცვლელად უკავშირდებოდა სასურსათო პროგრამას. ავტონომიურ რესპუბლიკაში ამ პროგრამის განხორციელების მიზნით გაწეულია გარკვეული მუშაობა, მაგრამ ღრმა ანალიზი ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ ყველგან არ ხორციელდება საჭირო პრაქტიკული ღონისძიებანი ამ პროგრამის რეალიზაციისათვის. 11 თვის მონაცემებით, აჭარის 37 საზოგადოებრივმა მეურნეობამ ვერ შეასრულა ხორცის, 34 მეურნეობამ — რძის, 2 მეურნეობამ — კვერცხის დამზადების გეგმები.

გამოუყენებელი რჩება სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გადიდების შესაძლებლობანი, მეცრეა ხეხილის ბოსავლიანობა. ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონებმა ვერ შეასრულეს ხილის დამზადების დაგალმანი, დიდი ზრუნვაა საჭირო მეცხოველეობის აღორძინებისათვის.

პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებმა, კომუნისტებმა კვლავაც უნდა გააძლიერონ მეცადინეობა საუკეთესო საბოლოო შედეგების მისაღწევად. ამისათვის საჭიროა, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, უკეთ ვიმუშაოთ, მთელი ძალები მოვახმაროთ დასახული შესრულებას. პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა დარაზმონ მასები მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად.

პლენუმმა განიხილა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. ბოროიევისა და აჭარის ასსრ ფინანსთა მინისტრის ს. ჯაჯიშვილის მოხსენებები აჭარის ასსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების სახელმწიფო გეგმის, 1982 წლის გეგმის, აჭარის ასსრ 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შესახებ და 1980 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე აჭარის ასს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის რ. სურმანიძის ანგარიში ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მდგომარეობის შესახებ.

პლენუმმა დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის 1982 წლის სამუშაო გეგმა და ღონისძიებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის პლენუმის გადაწყვეტილებებისა. ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ შერომთქმულ სიტყვაში დასახული ამოცანების შესასრულებლად.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ჯაჭარა

მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის განვლილ პერიოდში აჭარის მშრომელებმა თავლსაჩინო წარმატებები მოიპოვეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მრეწველობაში პროდუქციის გამოშვების გეგმა 102,4 პროცენტით შესრულდა, გეგმის გადამეტებით 10,6 მილიონი მანეთის პროდუქციაა წარმოებული. შარშანდელთან შედარებით წარმოების მოცულობა საგეგმო 3 პროცენტის ნაცვლად 6,4 პროცენტით გაიზარდა.

განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწიეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს მეჩაიეთა წარმატებას, საერთოდ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა საქმიანობას. ამ გამარჯვებებში დიდი წვლილი შეიტანეს აჭარის სოფლის მშრომელებმა, არაუნელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებმა 68,966 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მიჰყიდეს სახელმწიფოს — გეგმით გათვალისწინებულზე 9.660 ტონით მეტი. სამეალო ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ 9.477 კილოგრამს მიაღწია (შარშანდელზე მეტი).

კარგი შედეგები აქვთ მეციტრუსეებს. ამ ალოობის დღეებში აჭარელი მეციტრუსეები ყოველდღიურად 4-5 ათას ტონა ნარინჯოვან ხილს კრეფენ. ისინი 160 ათასი ტონა მანდარინის, ფორთოხლის და ლიმონის მიღებისათვის იბრძვიან. ეს ვალდებულებით ნაკისრზე 40 ტონით მეტია.

ამ შრომის მიღწევებსა და მომავლის პერსპექტივებზე საქმიანი მსჯელობა გაიმართა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმზე, რომელმაც განიხილა აჭარის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებული მითითებების მიხედვით 1982 წელსა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედში ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დარგში. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. სანაკოევი.

მოხსენება „სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებული მითითებების მიხედვით 1982 წელსა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედში ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და სოციალური განვითარების დარგში“ — ამ საკითხზე ავტონომიური რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა ადამიანს, ვინც ამ ორგანიზაციის ფუნქციონირებისა და ეფექტიანობისა ინტერესებია, ფართოდ ეცნობა ბ. ადლეიბას ანგარიშიდან.

ბ. ადლეიბამ ავტონომიურ რესპუბლიკაში ეკონომიკური ზრდის ტემპების ასამაღლებლად, ეფექტიანობის ასამაღლებლად, ეკონომიკური ეფექტიანობის ასამაღლებლად, ეკონომიკური ეფექტიანობის ასამაღლებლად, ეკონომიკური

ცეცხლოვანი ფრონტის მებრძოლთა იუბილე

დივერსიებისა და უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლიდან, პრიმიტიულად აღჭურვილი „პაკარდებიდან“ და „ფიატებიდან“ ზუტად ორგანიზებულ სამსახურამდე, რომელიც თავიდან გვაცლებს ხანძრებს და იყენებს უთანამედროვეს სამამულო ტექნიკას — ასეთი გზა განვლო საქართველოს საბჭოთა სახანძრო დაცვამ 60 წლიუბილეში. ქართველ მეხანძრეთა იუბილეს მიეძღვნა 18 დეკემბერს თბილისში გამართული საზეიმო კრება.

ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლის დარბაზში შეკრებნენ რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის მეომრები, შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან ჩამოსული სტუმრები. კრების პრეზიდიუმში იყვნენ პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაკები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელები, სახანძრო დაცვის ვეტერანები.

საზეიმო კრება გახსნა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. შადურმა.

მოხსენება საქართველოს საბჭოთა სახანძრო დაცვის ისტორიისა და იმის შესახებ, თუ როგორ იცავენ დღეს მეხანძრეები სახალხო დოვლათს ცეცხლისაგან, გააკეთა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსმა ე. გიორგაძემ.

ცეცხლოვანი ფრონტის მებრძოლებს მიესალმნენ სოციალისტური შრომის გმირი, „თბილისგაზრაბმშენის“ ბრიგადირი ა. დათაშვილი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი ნ. მამისაშვილი, სსრ კავშირის საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორიის გამგე თ. გამცემლიძე, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, თბილისელი პიონერები. აგრეთვე ამიერკავკასიის მომძე რესპუბლიკებიდან ჩამოსული კოლეგები.

— ჩვენ ჯეროვნად ვაფასებთ არა მარტო მეხანძრეთა მამაცობას, თქვეს კამოსულებმა, — არამედ იმასაც. რომ მათი პროფიესიონალური მუშაობის წყალობით სულ უფრო ნაკლები სახალხო დოვლათი ეწირება ცეცხლს.

საზეიმო კრებაზე რესპუბლიკის სახანძრო დაცვის ახალგაზრდა მუშათა ჯგუფს გადაეცა საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის სპატიო სიგელები.

საზეიმო კრების მონაწილეებმა მიიღეს წერილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი.

კრების შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც სახელგანთქმულ ანსამბლ „ორერასთან“ და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობებთან ერთად მონაწილეობდნენ სახანძრო დაცვის მუშაკთა თვითმოქმედი კოლექტივები.

ამავე დღეს თბილისში სპორტიალოს ქუჩაზე გაიხსნა მუდმივმოქმედი სახანძრო-ტექნიკური გამოფენა. მის ექსპოზიციაშია საქართველოს სახანძრო საქმის ისტორიის ამსახველი სტენდები, თანამედროვე სახანძრო ტექნიკის მოქმედი მაკეტები, ქართველი მხატვრების, მოქანდაკეებისა და ჟედური ხელოვნების ოსტატების სახანძრო თემისადმი მიძღვნილი ოთხმოცამდე ნაწარმოები. გამოფენის ლამაზი ექსპონატების გაცნობის შემდეგ მის მნახველებს შეეძლებათ მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ნახვა 150 მაყურებლისათვის გათვალისწინებულ კონფერენც-დარბაზში.

აჭარის ჟურნალისტთა ყრილობა

აჭარის პრესისა და რადიოს მუშაკებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ავტონომიური რესპუბლიკის შრომელთა დარაზმვაში ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების გეგმების სარეალიზაციოდ, აღინიშნა აჭარის ჟურნალისტთა მორიგ, VII ყრილობაზე, რომელიც ბათუმში გაიმართა.

სანგარიში მოხსენებაში ავტონომიური რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორმა შ. ქურიძემ თქვა, რომ აჭარაში გამომავალი ორი საოლქო, ხუთი რაიონული და ერთი მრავალტირაჟიანი გაზეთის ფურცლებზე, ადგილობრივი რადიოს გადაცემებში ძირითადი ადგილი უკავია მასალებს, რომლებიც ასახავს მშრომელთა ბრძოლას გამოუყენებელი რეზერვების გამონახვისა და ამოქმედებისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ყრილობაზე საქმიანი სჯა-ბაასი გაიმართა იმ დიდ და პასუხსაგებ ამოცანებზე, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის ჟურნალისტების წინაშე დგას თანამედროვე ეტაპზე. დიდი ყურადღება დაეთმო მათი პროფესიული ოსტატობის ამაღლების, ჟურნალისტთა კადრების აღზრდის საკითხებს.

არჩეულია აჭარის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის, სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობანი და საქართველოს ჟურნალისტთა VI ყრილობის დელეგატები.

აჭარის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორი შ. ქურიძე. (საქინფორმი)

საქალაქისა და ახალი ამბების საკავშირო კორესპონდენტები გვატყობინებენ

საერთაშორისო დღიურის ზურგზე ცხოვრება

21 დეკემბერი

● ანგოლა

რასისტები განაგრძობენ ოკუპაციას

ლუანდა. **მიმდინარე წლის 23 აგვისტოს ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეჭრილი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტები განაგრძობენ კუნენის პროვინციის დიდი ნაწილის ოკუპაციას.** ამას იუწყება ანგოლის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს აქ გავრცელებული კომუნიკე, მარტო 1 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე პერიოდში პრეტორიის მხედრიონმა მოაწყო 145 სადაზვერვო ფრენა ანგოლის ტერიტორიაზე, ქვეყნის სამხრეთში გადმოსხა დესანტი 6 ვერტმფრენავიდან, არაერთხელ დაბომბა დასახლებული პუნქტები ქალაქების შანგონგოს ქახამისა და ონენეთის მახლობლად. ოკუპანტები ფართოდ იყენებენ მომწამლავ გაზებს, რის შედეგადაც არის მსხვერპლი.

რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის უარი ანგოლის ტერიტორიიდან გაიყვანოს თავისი ჯარები, ნათქვამია კომუნიკეში, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს სამხრეთ აფრიკაში. ანგოლის წინააღმდეგ პრეტორიის რასისტთა ამ ახალი აგრესიის მიზანი, რომელიც განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ის არის, რომ ანგოლის სახალხო რესპუბლიკის სამხრეთში შექმნან „ბუფერული სახელმწიფო“ მარიონეტ სავიმბის მეთაურობით, საფრთხე შეუქმნან ქვეყნის ეროვნულ ერთიანობას, ხელი შეუშალონ განმთავისუფლებელ ბრძოლას ნამიბიაში.

● ალჟირი

პრეზიდენტის განცხადება

ელ-ჯაზაირი. **ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობა შეიძლება დამყარდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ განხორციელდება პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი მისწრაფებანი, განაცხადა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის გენერალურმა მდივანმა შ. ბენჯედიდმა ეროვნული კრების—ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატთა წინაშე გამოსვლისას.** მან სასტიკად გააკიცხა ისრაელის გადაწყვეტილება მოახდინოს სირიის „კუთვნილი გოლანის მაღლობების ანექსია და მოუწოდა არაბულ ქვეყნებს განამტკიცონ სოლიდარობა და მოქმედების ერთიანობა იმპერიალისტური და სიონისტური წრეების შეთქმულებათა წინააღმდეგ.

შ. ბენჯედიდმა მაღალი შეფასება მისცა ალჟირ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, რომელსაც საფუძვლად უდევს თანასწორობისა და ურთიერთგაგების პრინციპები. სახელმწიფოს მეთაურმა გამოთქვა რწმენა, რომ კვლავ განვითარდება და განმტკიცდება ალჟირისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მეგობრობა და თანამშრომლობა.

შ. ბენჯედიდმა დაადასტურა, რომ ალჟირი ერთგულად აზორციელებს მიუმხრობლობის პოლიტიკას და მხარს უჭერს ხალხების ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის.

● ავღანეთი

მიმართვა ხალხისადმი

ქაბული. **ბაჰთიარის სააგენტომ გაავრცელა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართვა ავღანეთის ყველა ერისა და ეროვნებისადმი.**

რევოლუციის განსაკუთრებით მისი ახალი ეტაპის, გამარჯვების მეოხებით, ნათქვამია მიმართვაში, ქვეყნის ისტორიაში პირველად გამოცხადდა ყველა ეროვნების პოლიტიკური თანასწორობა. აპრილის რევოლუცია მოხდა მთელი ავღანეთის აყვავებისა და პროგრესისათვის. აქ მცხოვრები ყველა ადამიანის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის.

ავღანეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტი და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ქვეყნის ყველა მოქალაქეს მოუწოდებენ რაც შეიძლება აქტიური მონაწილეობა მიიღონ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური არმიის განმტკიცებაში, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მას სამშობლოს დაცვის კეთილშობილური მისიის შესრულებაში, იმისათვის, რომ ყველა ეროვნებას შეეძლოს მშვიდად იცხოვროს და იმრომოს, საჭიროა მშვიდობა. პარტიამ და მთავრობამ ყველა ეროვნების წარმომადგენლებს მოუწოდეს უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ შრომით საქმიანობაში სამშობლოს საკეთილდღეოდ, უფრო თამამად და აქტიურად ჩაებან სახელმწიფოს საქმეთა მართვაში, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა მუშაობაში.

მდგომარეობა პოლონეთში

ვარშავა. **აქ გაიმართა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა. სხდომაზე განიხილეს საკითხები ახალ პირობებში სახალხო მეურნეობის მართვის შესახებ. პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება რაც შეიძლება სწრაფად დაინერგოს ეკონომიკური რეფორმის ის პრინციპები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს არსებულ ვითარებაში. გაიმართა ავრეთვე პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა პარტიული ორგანიზაციების ამოცანები ქვეყანაში მდგომარეობის მოწესრიგებისათვის.**

პოლონეთის პრესის სააგენტომ გაავრცელა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კომუნიკე, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამჟამად ქვეყანაში მთლიანად იცავენ სამხედრო წესების სამართლებრივ ნორმებს, მტკიცდება საზოგადოებრივი და შრომის დისციპლინა, მცირდება სისხლის სამართლის დანაშაულთა რიცხვი. ნორმალური შრომითი პროცესი მიმდინარეობს 95 პროცენტზე მეტ საწარმოში. ამის შედეგად შესაძლებელი გახდა პოლონეთის ბევრ რაიონში შემცირებულიყო კომენდანტის საათი. ეს ღონისძიება არ გავრცელდა ცალკეულ საწარმოებზე, სადაც „სოლიდარობის“ წევრი წამქეზებლები და კონტრრევოლუციური დაჯგუფებების წევრები განაგრძობენ უწესრიგობას. მაგალითად, კატოვიცეს სავოევოდოს შახტ „ზემოვიტში“ მათ აიფეთქეს ერთ-ერთი გამოსასვლელი, რომლის შედეგადაც მიწისქვეშ დარჩა დაახლოებით 1300 მაღაროელი. მეორე გამოსასვლელი დანამულია და „სოლიდარობის“ წევრი პოლიტიკური დანშაგანები, რომლებიც შახტაეს უწევენ ხელისუფლებას, იმუქრებიან, რომ აიფეთქებენ თუ შახტში შეიყვანენ საზოგადოებრივი წესრიგის ძალებს.

„გაზეტა ლიუბუსკა“ წერს, რომ „სოლიდარობა“ ანალოგიურ მოქმედებას ეწევა სვიდნიკის საავიაციო ქარხანაში. აქ „სტუდენტთა დამოუკიდებელი კავშირის“ და ადგილობრივი „სოლიდარობის“ წევრებმა მორალური ტერორისა და ფიზიკური ანგარიშის გასწორების მუქარის გზით შრომითი კოლექტივის ნაწილი აიძულეს მოეწყოთ გაფიცვა. წამქეზებლები დაპატიმრებული არიან. მათ ჩამოართვეს ანტისოციალისტური ნაბეჭდი მასალები, მაგნეტოფონის ჩანაწერები, რომლებიც მიღებული ჰქონდათ დასავლეთის ძირგამომთხრელი ცენტრებისაგან.

პოლონეთის პრესის სააგენტოს ცნობის თანახმად, გამოვლენილია „სოლიდარობის“ არსენალი ჩაბეჭილის გემოშემკეთებელ ქარხანა „პარნიცაში“: აქ იყო ტყვიაწამლის 500-ზე მეტი კომპლექტი, უუმბარსატყორცნი, ცეცხლსაროლი იარაღი, რეზნის ხელკეტები, ლითონის წნელები, ხიშტები.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის რადიო და ტელევიზია, ბეჭდვითი ორგანოები აქვეყნებენ სულ ახალახალ დოკუმენტებსა და ფაქტებს, რომლებშიც გამოაშკარავებულია კოს-კორის „დამოუკიდებელი პოლონეთის კონფედერაციისა“ და „სოლიდარობის“ ლიდერთა კონტრრევოლუციური ზრახვები და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა. ერთერთი მათგანის კ. მოძელევსკის შესახებ, რომელიც პროფგაერთიანების პრეზიუმის საკითხთა ყოფილი წარმომადგენელია — წერს გაზეთი „ჟოლნეჟ ვოლნოსტი“. იგი მორს უმიზნებდა და ამ მიზნის მიღწევისათვის გზად გაიხადა მუშათა ზურგები, გააფორებული მგელივით მოქმედებდა, მუდამ ზიზღით ლაპარაკობდა „გაფთელ გლეხებზე“, წერს გაზეთი. ი. კურონთან და კოს-კორის სხვა ანტიკომუნისტებთან მჭიდრო კავშირით ყოველნაირად ცდილობდა გაეჩაღებინა ამათა მკვლელი სამოქალაქო ომი პოლონეთში კაპიტალიზმის რესტავრაციის მიზნით.

მეცნიერებას მიტმასნილი მოძელევსკი ხშირად მიემგზავრებოდა საზღვარგარეთ, სადაც ამყარებდა კავშირს ტროცკისტებთან, „საბჭოთოლოგებთან“ და სადაზვერვო ცენტრებთან. მელიის სიცბიერით, აღნიშნავს „ჟოლნეჟ ვოლნოსტი“, იგი ქმნიდა ფსიქოლოგიური ტერორისა და შანტაჟის „რეცეპტებს“, „სოლიდარობიდან“ სდევნიდა მუშათა კლასის ნამდვილ წარმომადგენლებს, ერთიანან ქსელში აბამდა სხვადასხვა ჯურის ოპოზიციურ დაჯგუფებებს.

გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“, რომელიც აშკარავებს პოლონეთში კონტრრევოლუციური ძალების პირდაპირ კავშირს დასავლეთის იმპერიალისტურ წრეებთან, აღნიშნავს, რომ ქვეყანაში სამხედრო წესების „შემოღებისთანავე შეიცვალა ბურჟუაზიული პრესის ტონი. გაზეთი წერს, რომ იმპერიალიზმის წრეების მიერ უბოდიშო მხარდაჭერა „სოლიდარობის“ პოლიტიკური მოთამაშეებისადმი არსებითად პოლონეთის საშინაო საქმეებში ჩარევაა. მას საფუძვლად უდევს დაინტერესება გაითამაშონ „პოლონური კოზირი“ ალმოსავლეთისა და დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ კონფრონტაციაში. ნატოს შტაბები ცდილობდნენ პოლონეთი გადაექციათ სოციალისტურ თანამეგობრობაში გადადგომები სენის თავისებურ ინუბატორად. თუ ადრე ამერიკის შეერთებული შტატები თავის პარტნიორებს მოუწოდებდა „დახმარება“ გაეწიათ პოლონეთისათვის, სამხედრო წესების შემოღებისთანავე იგი დაადგა საწინააღმდეგო კურსს და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა დაბრკოლება შეუქმნას ამ დახმარებას.

მაგრამ პოლონეთი თანდათან წელში იმართება და კვლავ დაიკავებს ღირსეულ ადგილს სოციალისტური თანამეგობრობის ძმურ ოჯახში. აცხადებს „ტრიბუნა ლუდუ“.

**ჟურნალისტ ფრანსუა ბეგეიდერ-ბეგეიდერ-ბეგეიდერ-

საბჭოთა საქართველოს თანაგზოლი

რას მოგვითხრობს ჟურნალი „კავკასიის ხალხები და ენები“

ამ სამაცი წლის წინათ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების რამდენიმე თვის შემდეგ, თბილისში გამოიცა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის გამომხატველი სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი „კავკასიის ხალხები და ენები“. ეს მივიწყებული გამოცემა ძირითადად რუსულ ენაზეა შედგენილი, ხოლო ცალკეული ნაწარმოებები თარგმანთან ერთად წარმოდგენილია ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. სპეციალური დანიშნულებით გამოყენებულია აგრეთვე რეფორმირებული ლათინური შრიფტიც. ჟურნალი იმ დროს გამოვიდა, როდესაც ძირითადი რუსული გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ ჯერ კიდევ არ იყო დაარსებული, ხოლო მომმე ხალხთა საურთიერთო ფუნქციას რუსული პერიოდული გაზეთი „პრავდა გრუზიი“ ასრულებდა.

ჟურნალის თავფურცელზე მითითებულია თარიღი და საგამომცემლო დაწესებულება: **1921, ივნის-ივლისი, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი.** მიუხედავად სოლიდური ტირაჟისა (1000), დღეისათვის ეროვნულს ერთადერთი ეგზემპლარია დაცული, ისიც რესპუბლიკის გარეთ, მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში. ოციანი წლების საქართველოში კერძო ინიციატივით ჟურნალისა თუ გაზეთის გამოცემა და შემდეგ თავისთავადი გაუჩინარება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ეპოქალურ ქარტეხილთა დუღილში ჩვენი დღეებისაკენ მხოლოდ მძლავრი შემოქმედებითი იმპულსები იკაფავდნენ გზას.

ჟურნალი რევოლუციურ გარდამქმნათა ხანის მნიშვნელოვანი კონკრეტულ-ისტორიული შემოქმედებითი ფაქტია და ამავე დროს ქართული საბჭოთა მწერლობისა და ჟურნალისტიკის ისტორიაში სოციალისტური პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულის-კვეთების გამომხატველი ერთ-ერთი მოთავე ბეჭდვითი ორგანოა. ამასთანავე მას ფრიად ფასეული დოკუმენტური ღირებულებაც აქვს. მისმა ფურცლებმა შემოგვინახა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღეს ახალი საქართველოსადმი მიძღვნილი პაოლო იაშვილის ექსპრომტის დღემდე უცნობი პირველბეჭდური სრული ტექსტი.

როგორც ჟურნალი მიგვანიშნებს, მას საგამმანათლებლო-პროპაგანდისტული დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა. ამ მიზნით არის დაბეჭდილი ქართულ ენაზე მაღალი მოქალაქეობრივი ყოერადობის ქართული ლექსი და მისი რუსული თარგმანი, აზერბაიჯანულ ენაზე ლენინური შრიფტით „ინტერნაციონალი“, სომხურ ენაზე — ეროვნული და ლათინური შრიფტით — სომხეთის წითელი ჰიმნი და მისივე რუსული თარგმანი.

მხატვრულ განყოფილებაში პ. იაშვილის ლექსის გარდა გამოქვეყნებულია რედაქტორის პ. უშაკოვი. პოეტური ნაწარმოებები „ინდოეთს“, „განდევნილის სიმღერა“, ერთმოქმედებიანი პიესა „გიორგი დარიანი“, სამეცნიერო სტატიები თბილისელი, ბაქოელი და ერევნელი ავტორებისა. ჟურნალს ერთვის ლათინური და კავკასიური ენების ანბანთა პარალელური ცხრილება.

ჟურნალის პირველ გვერდზე დაბეჭდილი პ. იაშვილის ლექსი „წითელ საქართველოს“ ამჟამად ცნობილია სათაურით „ახალ საქართველოს“. თავდაპირველი სახელწოდება არ არის მოულოდნელი. პირველ წლებში ტერმინი „წითელი“ ჩვეულებრივად აღიქმოდა ცნების „საბჭოთას“ მნიშვნელობით. (მაგ., „წითელი რუსეთი“, „წითელი რესპუბლიკები“, „წითელი ლაშქარი“, და სხვ.)



სამეცნიერო-კრიტიკული ლიტერატურის ერთსულოვანი აღიარებით თებერვლის ბობოქარ დღეებში „თავისუფლების მოდაზზე“ იმპროვიზებულად წარმოთქმული ლექსი ქართული საბჭოთა პოეზიის მეკვლედ იქცა.

პოეტის ერთთმეულის შემდგენელი შ. დემეტრაძე ბიბლიოგრაფიულ ცხობარში აღნიშნავს: „ავტორმა ეს ლექსი პირველად ექსპრომტად წარმოთქვა 1921 წელს, 1922 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ ქართულ ენაზე, ხოლო 1926 წელს გადაიბეჭდა პარიზის გაზეთ „ახალ საქართველოს“ 24-ე ნომერში“,

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კომენტარში დაშვებულია ერთი უზუსტობა: ლექსი გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ არ დაბეჭდილა. პოეტის მეგობარ ღვაწლმოსილ ლიტერატორს კარგად ახსოვდა, რომ ლექსი ქართულ ენაზე დაიბეჭდა რუსულ გამოცემაში, კერძოდ, რომელში, ამის დაზუსტება შეუძლებელი შეიქნა, რადგანაც საფუძველი მოუკვლეველი იყო. ალბათ, ამიტომაც არ არის მითითებული გაზეთის არც სრული თარიღი და არც ნომერი.

ამდენად ლექსის „ახალ საქართველოს“ პირველბეჭდური წყარო დადგენილად უნდა ჩაითვალოს.

ნაბეჭდი ტექსტები რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისაგან. შემდგომში სრულყოფის ძიზნით სათაურის გარდა, მცირეოდენი ცვლილებები განუცდია ზოგიერთ სტრიქონსაც. უფრო მნიშვნელოვანია სხვა ტექსტობრივი განსხვავება: ერთთმეულში დაბეჭდილ ლექსს აკლია ჟურნალში გამოქვეყნებული ტექსტის მესამე სტროფი (მოლიანად:

გათავდა ომი დაუდგრომელი,
ამოისუნთქე ეხლა მოშვებით...

(თებერვალ-მაისი) თვალნათლივ გამოსჭვივის. ზოგიერთი სტრიქონისა და განსაკუთრებით უცნობი სტროფის შინაარსიდან. ლოგიკური შედეგის დოკუმენტურობის პრინციპით შეჯიბრებისათვის აღვნიშნავთ ერთ ნაკლებად ცნობილ ფაქტსაც:

არსებობს 1921 წლის მოვლენებისადმი მიძღვნილი პ. იაშვილის ერთი ხელნაწერი ლექსიც, რომელიც დაცულია ლენინგრადში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის (პუშკინის სახლის) ფონდებში. ავტოგრაფი ხელმოუწერელია და დათარიღებულიც არ არის. მიუხედავად ამისა, პ. იაშვილის ავტორობა ეჭვს არ იწვევს. ავტოგრაფზე სხვისი ხელით რუსულ ენაზე შემდეგი მინაწერია: „თბილისში 1921 წლის 1 მაისის დღესასწაულისათვის დაწერილი პაოლო იაშვილის ლექსების შავი“. ყურადღებას იპყრობს წარწერაში ლექსების მრავლობითს რიცხვში მოხსენიება. როგორც ჩანს, იგი ნამდვილ ვითარებას გამოხატავს. პირველი მაისისადმი მიძღვნილ მეორე ლექსად 1921 წელს ექსპრომტად წარმოთქმული ლექსის შემდგომი „სამაისო“ ფერიცვალებაა უნდა მივიჩნიოთ. ყურადსაღებია ერთი გარემოებაც: 1968 წელს რუსულ ენაზე „მერნოს“ მიერ გამოცემულ პ. იაშვილის წიგნზე დართულ ბიოგრაფიულ ცხობარში შ. დემეტრაძე საბჭოთა საქართველოსადმი მიძღვნილ პირველ ლექსს მოიხსენიებს სხვა სათაურით — „აზიის კარო“.

მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერ და დაბეჭდილ ლექსებს, იდეურ-თემატური ნათესაობის გარდა, ზოგიერთი საერთო პოეტური აქსესუარიც აქვს, ხელნაწერი ლექსი დამოუკიდებელ ნაწარმოებად უნდა მივიხიოთ და პოეტის თხზულებათა შემდგომ გამოცემაში „1 მაისის დღესასწაულის“ სათაურით უნდა შევიტანოთ.

„ახალი საქართველოს“ თანამედროვე პოეტური თარგმანი ეკუთვნის ი. სელვინსკის, ხოლო ჟურნალში რუსულ ენაზე დაბეჭდილი პ. იაშვილის ლექსის მთარგმნელია რედაქტორი. პ. უშაკოვს ერთი სტროფით შეუმცირებია დედნისეული ტექსტი, ოღონდ ამ შემთხვევაში რომელიმე სტროფი კი არ არის გამოკლებული, არამედ შინაარსია შემჭიდროებული აზრობრივი განმეორების ასაცილებლად.

ერთმოქმედებიანი პიესა „გიორგი დარიანი“ ადადგენს თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ მშრომელი ხალხის თავდადებული ბრძოლის სურათებს. პიესის ფინალი ოპტიმისტურია. შავი ზღვის სივრცეში უჩინარდებიან იალქნიანი გემები. ამ ფონზე მშრომელებს აღუმართავთ წითელი დროშა. ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს“.

სამეცნიერო განყოფილებაში დაბეჭდილ წერილში „კავკასიის ხალხები და ენები“, კლასიფიცირებულია კავკასიის ხალხთა ლინგვისტური ჯგუფები, განხილულია უძველესი დროიდან ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაციისა და მსოფლიო ცივილიზაციის ერებთან ნათესაობის საკითხი. ურთიერთობათა პრობლემატიკა შესწავლილია ვრცელ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე — სპარსეთის ყურიდან პირენეის ნახევარკუნძულამდე (მცირე აზია, სირია, სამხრეთ სპარსეთი, ბაბილონი, ჩრდილოეთ აფრიკა, იტალია, ესპანეთი). განსაკუთრებით აქტუალურია ეტრუსკებისა და ბასკების საქართველოსთან კავშირურთიერთობათა საკითხები. პ. უშაკოვი თავის შეხედულებათა დასასაბუთებლად მიმართავს არქეოლოგიური გათხრების მონაცემებს, სხვადასხვა ეხეზე არსებულ წყაროებსა და გამოკვლევებს, მსოფლიო მეცნიერების ძიღწევებს.

მეორე სტატია „ქრისტიანობა და ჩვენი დროის სამეცნიერო აზრი“, რელიგიისა და ეკლესიის არსის შესახებ საქართველოში მარქსისტული გამოკვლევის ერთ-ერთ ადრინდელ პუბლიკაციას წარმოადგენს. იგი აღმოსავლეთის რელიგიის პრობლემებზე წაკითხულ ლექციათა ციკლის ნაწილია და ეკუთვნის ბაკოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს ‘ჩრეპოტიევს.

მესამე წერილში ავტორი ერვანდიანი განიხილავს სომხური ენის საკითხებს.

პეტრე ნიკოლოზის ძე უშაკოვი (1883-1943) დაბადებულა პეტერბურგში. განათლება მიუღია პეტერბურგისა და ჟენევის უნივერსიტეტებში. იცოდა ინგლისური, ფრანგული, გერმანული, იტალიური და ესპანური ენები. 1920 წლიდან მიხეილ კახიანის მიწვევით ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწეოდა ბაქოში, 1923 წლიდან საქართველოს განსახკომის განყოფილების გამგეა, 1931 წლიდან მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის აღმოსავლეთის სექტორის მეცნიერი თანამშრომელი. პ. უშაკოვმა სადისერტაციო შრომა მიუძღვნა ლიდიური ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლას. სხვა შრომებიდან აღსანიშნავია: „საქართველოს უძველესი მოსახლეობა არქეოლოგიური გათხრების მიხედვით“, „ხეთები“, „ძველი ისტორიის საკითხები“.

საბჭოთა საქართველოს თანატოლი ჟურნალი „კავკასიის ხალხები და ენები“ გარკვეულ სამსახურს გაუწევს მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს: ენათმეცნიერებს, ჟურნალისტებს, ლიტერატურისა და რელიგიის ისტორიკოსებს, ათეისტებსა და ბიბლიოგრაფებს. რამდენიმე ხნის წინათ ჟურნალის ფოტოფირი გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას.

ზ. მეძველია.

„ДИНАМО“ იწყებს სეზონს

მცირე ხნის არდადეგების შემდეგ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები კვლავ შეიკრიბნენ დიღმის სპორტულ ბაზაზე. ნოდარ ახალაცის, კახი ასათიანის, სერგო კუტავაძისა და გივი ნოდიას ხელმძღვანელობით დინამოელები ახალი, 1982 წლის სეზონისათვის ემზადებიან.

— ზედიზედ მეორე წელია ჩვენ ადრე ვიწყებთ სეზონს, — მოგვითხრობს სერგო კუტავაძე, — და ეს კვლავ გამოწვეულია ევროპის საკლუბო ტურნირში მონაწილეობით. სამ მარტს პირველი მატჩი გვაქვს ვარშავის „ლეგიასთან“. ოთხ იანვარს გუნდი მიემგზავრება შავი ზღვის სანაპიროზე, სადაც გაიმართება ორკვირიანი შეკრება. დაგეგმილი გვაქვს საერთაშორისო შეხვედრები იუგოსლავიაში ან თურქეთში. იმის გამო, რომ ჩვენი გუნდის შვიდი წევრი მიწვეულია ქვეყნის ნაკრებში, სასწავლო-სავარჯიშო პროცესში შეტანილია ზოგიერთი ცვლილება.

ახლა, რაც შეეხება გასული წლის სეზონში ტრავმირებულ ფეხბურთელებს: ყიფიანი და ჩივაძე უკვე ვარჯიშობენ, ემზადებიან ინდივიდუალური გეგმით, ხოლო კოტკავა მეცადინეობას შეუდგება ორი კვირის შემდეგ და ვიმედოვნებთ, მარტ-აპრილში იგი სპორტულ ფორმას.

დაბოლოს, რაც ასე დიდად აინტერესებთ ფეხბურთის გულშემატკივრებს: შედგება თუ არა მატჩი სუპერთასზე „ლივერპულის“ გუნდთან? ალბათ, შედგება. და შედგება იგი დაახლოებით მარტის შუა რიცხვებში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ჩივაძე — საუკეთესოთა შორის

ყიფიანი და ბლოხინი — კანდიდატები

ირლანდიის დედაქალაქ დუბლინის გაზეთი „სანდი უორლდი“ გასულ სეზონში ნაჩვენები შედეგების მიხედვით საახალწლოდ ტრადიციულად ასახელებს ფეხბურთში მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებს.

„1981 წლის მსოფლიო ნაკრებში“ ისეთი ცნობილი ფეხბურთელების გვერდით, როგორიც ბრაზილიელი ზიკო და არგენტინელი მარადონაა, შეყვანილია თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა ნაკრების მცველი ალექსანდრე ჩივაძე. ჩივაძის თამაშისთვის, აღნიშნავს გაზეთი, დამახასიათებელია პარტნიორებთან შესანიშნავი ურთიერთგაგება და მოედნის ჩინებული ხედვა.

სიმბოლურ ნაკრებში კანდიდატებად დასახელებულია ჩვენი ქვეყნის კიდევ ორი ფეხბურთელი — თბილისელი დავით ყიფიანი და კიეველი ოლეგ ბლოხინი.

გაიმართება დამატებითი მატჩი

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის უკანასკნელი, 24-ე მონაწილის ვინაობა აზიისა და ოკეანიის ჯგუფის გუნდებს შორის გაირკვევა დამატებითი შეხვედრის შემდეგ. ახალი ზელანდიისა და ჩინეთის სპორტსმენთა შორის. საქმე ისაა, რომ ამ ჯგუფის ბოლო შესარჩევ მატჩში ახალი ზელანდიის ნაკრებმა ანგარიშით 5:0 დამარცხა საუდის არაბეთის ნაკრები. ამრიგად, ახალზელანდიელებმა ჩინელ ფეხბურთელთა მსგავსად მოაგროვეს 7 ქულა. მათ თანაბარი აღმოაჩინდათ მიღებული და გატანილი ბურთების შეფარდებაც.

ამ ჯგუფიდან ესპანეთის ფინალური ტურნირის პირველი საგზური უკვე მიიღო კუვეიტის ნაკრებმა.

□ □

რთული, ძნელი ამოცანის წინაშე

დღეს, 22 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში სტარტს აიღებს სსრ კავშირის კალათბურთელთა ჩემპიონატის მეორე წრის დასკვნითი ეტაპი. ჩვენი ქვეყნის თორმეტი უძლიერესი გუნდი ერთმანეთს შეეკიბება პირველი რვა ადგილის დასაკავებლად, რაც იძლევა შემდგომში ჩემპიონატის უმაღლესი ჯილდოებისათვის ბრძოლის უფლებას.

რთული და ძნელი ამოცანის წინაშე დგას თბილისის „დინამოს“ კოლექტივი, რომელსაც ერთი თვეც არ არის სათავეში ჩაუდგენ ოლიმპიური ჩემპიონები, სპორტის დამსახურებული ოსტატები მ. ქორკქია და ზ. საკანდელიძე. დღეისათვის ქართველი სპორტსმენები მათთვის უჩვეულო ადგილზე სატურნირო ცხრილის ბოლოში იმყოფებიან, მაგრამ კუიბიშევის ტურის უკანასკნელ მატჩებში მიღწეული წარმატებები ოპტიმისტურად განაწყობს ქართული კალათბურთის გულშემატკივრებს. იმედი უნდა ვიქონიოთ: თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა კოლექტივის პროგრამა-მინიმუმი — პირველ რვა გუნდში მოხვედრა — წარმატებით განხორციელდება.

ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოს ჩემპიონიცაა

თბილისის სპორტის სასახლეში სარბაობაზე ჩვენი რესპუბლიკის 32 ფალავანი ეცილებოდა ერთმანეთს ქართულ ჭიდაობაში აბსოლუტურის ჩემპიონის სახელს.

თავდაპირველად ასპარეზობა გაიმართა ოთხ წონითს კატეგორიაში, სადაც გაიმარჯვეს: 79 კგ — გ. ზაგოშვილმა (იგი ამავე დროს დაეუფლა ა. კაკნაძის სახელობის პრიზს), 84 კგ — შ. ხაბარელმა (მოიპოვა ზ. ბაკურაძის სახელობის პრიზი), 90 კგ — ტ. მეთოშვილმა (მოიპოვა დ. ხიზანიშვილის პრიზი), 90 კგ-ზე ზევით — მ. ბერიაშვილმა (მოიპოვა ა. მეკოკიშვილის პრიზი).

შეჯიბრების მეორე, დასკვნითი ეტაპზე ნახევარფინალებში ხაბარელმა სძლია ზაგოშვილს, ხოლო მეთოშვილმა— ბერიაშვილს.

უაღრესად საინტერესო და შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდებოდა ფინალური ორთაბრძოლა, სადაც ორივე სპორტსმენმა გამოავლინა ერთვნული ჭიდაობის მდიდარი არსენალი. გაიმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ხაბარელმა, რომელსაც გადაეცა ასპარეზობის მთავარი — სანდრო კანდელაკის პრიზი.

სატურნირო ორბიტა

ბაქრაკი. ფრუნზეში დამთავრებულ სსრ კავშირის ჩემპიონატში, ისევე როგორც გასულ სპორტულ სეზონში, გამარჯვებულები გამოვლინდნენ ორნი — კასპეროვი და ფსახისი. მაგრამ თუ კასპაროვისთვის ეს ჩემპიონის პირველი ოქროს მედალია, ფსახისმა უკვე მეორედ მოიხვეჭა იგი.

კასპაროვმა ბოლო ტურში დამარცხა ტუმკაკოვი, ხოლო ფსახისისა და აგზამოვის პარტიაში აღინიშნა ყაიმი. მესამე სპორტიორ ადგილისთვის პრეტენზიას აცხადებენ რომანიშინი, ტუმკაკოვი და გავრიკოვი. დღეს მოეწყობა უკანასკნელი გადადებული პარტიების დამთავრება და ჩემპიონატის დახურვა.

კრივი. ლენინგრადელი ვ. იაკუბოვი გახდა ქვეყნის ახალი ჩემპიონი. „ბოლოს ხელთათმანის“ მფლობელმა, 21 წლის სტუდენტმა ფინალურ შეხვედრაში დაამარცხა ხარკოველი ვ. მერშენევი.

„ГАМБАЕУЛИ“ ФРТОЕБА ЗЛИС

ᲛᲔᲓᲘᲜᲐᲠᲘ ყვირილას მარცხენა სანაპიროს ეს ადგილი ადრე ზამბნარს დაეფარა და თითქმის მთლიანად დაჭაობებულიყო. ერთ დღეს აქ მძლავრი ტექნიკა მოვიდა, აგუგუნდნენ ტრაქტორები, ექსკავატორები, თვითმცლელები. საფუძველი ჩაეყარა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის გიგანტის — საჩხერის ბამბის სართავი ფაბრიკის მშენებლობას. მეორე წელია მშენებლობა მიმდინარეობს, და უკვე გამოიკვეთა მომავალი ფაბრიკის კონტურები. აი, რას გვიამბობს მშენებარე ფაბრიკის დირექტორი ბ. ტოფაძე.

— „ბამბეული“ ძირფესვიანად გარდაქმნის საჩხერის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას. აქ 1.400 მუშა დასაქმდება, რაიონის ინტელიგენციის რაზმს კი 200-მდე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი შეემატება. ფაბრიკის ამოქმედების შემდეგ გარკვეულად გადაიჭრება ისეთი მტკივნეული პრობლემა, როგორიც არის ახალგაზრდობის მიგრაცია.

ფაბრიკა ნედლეულს შუა აზიის რესპუბლიკებიდან მიიღებს. საპროექტო სიმძლავრის მიღწევის შემდეგ იგი წელიწადში 5.100 ტონა ნართა გამოუშვებს, რაც საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს მთიხოვნას 40 პროცენტით დააკმაყოფილებს. ამას გარდა ფაბრიკა აწარმოებს ბამბეულის დიდძალ ჯოგს, რაც საგრძნობლად შეამცირებს დეფიციტს ამ საქონელზე. მშენებლობის პარალელურად მიმდინარეობს კადრების მომზადებაც. მრთველის, ქიმიური და სამაცივრო დანადგარების სპეციალობას თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმში 110 საჩხერელი ახალგაზრდა ეუფლება. მაღალკვალიფიციურ მუშათა კადრებს ველი რაიონში ახლად გახსნილი 153-ე პროფტექნიკური სასწავლებლიდანაც. ფაბრიკა, როგორც გეგმით არის გათვალისწინებული, პირველ პროდუქციას 1983 წელს გამოუშვებს.

გზა მომავლისა...

მოხვა საჩხერის ერთ-ერთი დაშორებული და მაღალი მთის სოფელია. უფროსი თაობის საჩხერელებს ახსოვთ მოხველთა დოვლათიანობისა და პურადობის ამბავი — მათ პირუტყვს საძოვრები ძლივს იტევდნენ. მართალია, სოფელს გზა არ უვარგოდა, მაგრამ მშობლიურ კერას მაინც ნაკლებად ტოვებდნენ. მოხვიდან მასობრივი მიგრაცია მაშინ დაიწყო, როდესაც გლეხკაცს ცხვარძროხის, ღორისა თუ სხვა პროდუქციის სულადობა შეუზღუდეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის დადგენილებამ „მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში საოჯახო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ საგრძნობლად შეაჩერა მიგრაციის პროცესი. უფრო მეტიც: საჩხერეში ჩამოსახლებულმა ბევრმა მოხველმა ჯერ მშობლიური სოფლისაკენ იბრუნა, მაგრამ წინ უგზოობა გადაეღობათ.

რაიონის პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელობას განსაცდელში არ მიუტოვებია სოფელი, დაისახა სასწრაფო ღონისძიებები. მოხვისაკენ ახალი გზის გაყვანა დაევალა „ენგურმშენის“ ერთ-ერთი სამმართველოს საჩხერის ფილიალს. მშენებლები მთას შეეჭიდნენ, შესრულდა ურთულესი სამუშაოები, ადამიანმა გაიმარჯვა კლდეებთან ჭიდილში. მალე მოხვაში ავტომობილი აქიდა, გზის კეთილმოწყობა კი გრძელდება...

ერთ სიხარულს მეორეც დაემატა. ამას წინათ ზემდგომი ორგანოების დადგენილებით შეიქმნა მოხვის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ჯერჯერობით პატარაა, სულ 200 სული საქონელი ჰყავს, მაგრამ წინ დიდი პერსპექტივა აქვს. მალე იგი რაიონში თავის სიტყვას იტყვის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში.

□ □

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲜᲘᲨᲕᲜᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲙᲐᲑᲐ

საკავშირო საჩხერის საწარმოო კომბინატის მუშაკებმა ნამდვილი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს. კომბინატის სამკერვალო საამქროს მიერ გამოშვებულ გოგონას კაბას ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა. საჩხერელთა პროდუქციამ ეს მაღალი შეფასება დაიმსახურა მოდელის ორიგინალური გადაწყვეტისა და ოსტატური შესრულების შედეგად. ახლა საწარმოო კომბინატში სპეციალური ბრიგადა შეიქმნა, რომელიც მხოლოდ ბავშვების კაბების გამოშვებით არის დაკავებული.

აკ. მაჭარაშვილი,
ო. კუსიანი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

საბჭოთა საქართველოს თანაგზოლი

ᲠᲐᲡ ᲛᲝᲒᲕᲘᲗᲮᲠᲝᲑᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲜᲔᲑᲘ“

„ᲒᲘᲜᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲛᲘᲛᲔᲠᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔ!

ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲜᲘ

ᲮᲐᲚᲮᲨᲘ გავრცელებული თქმულება გვიამბობს: ავბედობის ეამს დაღესტნიდან ძმები წვივშავიძეები გადმოხვწილან და ბორჯომის ხეობაში დასახლებულან. მალე იქიდანაც აყრილან, საჩხერისათვის მოუშურებიათ და წერეთლების გვარიც მიუღიათ. არ გასულა დიდი დრო, და ერთ-ერთ მათგანს პაპუნა წერეთელს კაცსელი აბაშიძისათვის ქალიშვილის ხელი უთხოვია. სასიმამროს შემოუთვლია, შენ რა თავადი ხარ, ციხე არა გაქვსო. პაპუნას ციხე-სიმაგრის მშენებლობა დაუწყია და როცა დაუსრულებია, ქალის მამასთან მალემსრბოლი უფრენია: მოდი ნახეო!

დროის დინება ვერ ახუნებს ლამაზ ლეგენდას, რამეთუ საჩხერლებს ყველაზე მეტად დღეს აქვთ უფლება ომახიანად მიმართონ ვისაც გნებავთ: მოდით, ნახეთ და არ ინანებთო! განსაკუთრებით ბოლო ხანებში დამშვენდა რაიონი. რაც აქ უკანასკნელ წლებში გაკეთდა და კეთდება, იმდენი რაიონის არსებობის ბევრ ათწლეულს არ ახსოვს.

□ □

„ᲒᲐᲛᲑᲔᲣᲚᲘ“ ᲤᲠᲗᲔᲑᲡ ᲖᲚᲘᲡ

ᲛᲔᲓᲘᲜᲐᲠᲘ ყვირილას მარცხენა სანაპიროს ეს ადგილი ადრე ზამბნარს დაეფარა და თითქმის მთლიანად დაჭაობებულიყო. ერთ დღეს აქ მძლავრი ტექნიკა მოვიდა, აგუგუნდნენ ტრაქტორები, ექსკავატორები, თვითმცლელები. საფუძველი ჩაეყარა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის გიგანტის — საჩხერის ბამბის სართავი ფაბრიკის მშენებლობას. მეორე წელია მშენებლობა მიმდინარეობს, და უკვე გამოიკვეთა მომავალი ფაბრიკის კონტურები. აი, რას გვიამბობს მშენებარე ფაბრიკის დირექტორი ბ. ტოფაძე.

— „ბამბეული“ ძირფესვიანად გარდაქმნის საჩხერის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას. აქ 1.400 მუშა დასაქმდება, რაიონის ინტელიგენციის რაზმს კი 200-მდე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი შეემატება. ფაბრიკის ამოქმედების შემდეგ გარკვეულად გადაიჭრება ისეთი მტკივნეული პრობლემა, როგორიც არის ახალგაზრდობის მიგრაცია.

ფაბრიკა ნედლეულს შუა აზიის რესპუბლიკებიდან მიიღებს. საპროექტო სიმძლავრის მიღწევის შემდეგ იგი წელიწადში 5.100 ტონა ნართა გამოუშვებს, რაც საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს მთიხოვნას 40 პროცენტით დააკმაყოფილებს. ამას გარდა ფაბრიკა აწარმოებს ბამბეულის დიდძალ ჯოგს, რაც საგრძნობლად შეამცირებს დეფიციტს ამ საქონელზე. მშენებლობის პარალელურად მიმდინარეობს კადრების მომზადებაც. მრთველის, ქიმიური და სამაცივრო დანადგარების სპეციალობას თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმში 110 საჩხერელი ახალგაზრდა ეუფლება. მაღალკვალიფიციურ მუშათა კადრებს ველი რაიონში ახლად გახსნილი 153-ე პროფტექნიკური სასწავლებლიდანაც. ფაბრიკა, როგორც გეგმით არის გათვალისწინებული, პირველ პროდუქციას 1983 წელს გამოუშვებს.

გზა მომავლისა...

მოხვა საჩხერის ერთ-ერთი დაშორებული და მაღალი მთის სოფელია. უფროსი თაობის საჩხერელებს ახსოვთ მოხველთა დოვლათიანობისა და პურადობის ამბავი — მათ პირუტყვს საძოვრები ძლივს იტევდნენ. მართალია, სოფელს გზა არ უვარგოდა,

ᲒᲕᲘᲜᲓᲝᲕᲔᲑᲡ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲜᲐᲫᲕᲘᲡ ᲮᲔ

29 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ სკოლის ზარი გვაუწყებს, რომ ბავშვებს ზამთრის არდადეგები დაეწყოთ!

საქართველოს დედაქალაქის, რესპუბლიკის სხვა ქალაქების საუკეთეო სასახლეები და კულტურის სახლები, დარბაზები ბავშვების განკარგულებაში იქნება. მაგალითად, ნორჩი თბილისელები თოვლის პაპასა და ფიფქის შეხვდებიან ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში გამართულ საახალწლო ნაძვის ხის დღესასწაულებზე. სულ რესპუბლიკაში ნაძვის ხის გარშემო თავს მოიყრის მილიონამდე ბავშვი.

ზამთრის არდადეგების დღეებში ათასობით მოსწავლე დაისვენებს ოცზე მეტ პიონერთა და გაბაჯანსაფელ ბანაკში, რომლებიც იქმნება, კერძოდ, ქობულეთში, წყნეთში, ბაკურიანში, სურამში, სხვა კურორტებზე. პიონერები და მოსწავლეები მოაწყობენ ლაშქრობებსა და ექსკურსიებს რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში.

ამ დღეებში გაიმართება მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების ტრადიციული რესპუბლიკური კვირეული ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის.

ზამთრის არდადეგების საღღესასწაულო აფიშაშია საახალწლო კარნავალები, მკითხველთა კონფერენციები, ლიტერატურული საღამოები, კონკურს-ვიქტორინები, სპორტული შეჯიბრებები, საბავშვო მხატვრული, დოკუმენტური და პოპულარულ-კატიური ფილმების ჩვენება.

მოსწავლეთა დიდი ჯგუფი გაემართება „ჩემი სამშობლო — სსრ კავშირი“ ექსპედიციის მარშრუტებით. ბავშვები ეწვევიან ქვეყნის სხვადასხვა ქალაქს.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კოლექტივმა სამშობლოს უპატაკა წლიური დავალების ვადამდე შესრულება. მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის გადამეტებით გადაზიდა ათასობით ტონა ნავთობპროდუქტები და სხვა სახალხო-სამეურნეო ტვირთი. საუკეთესოთა შორის დასახელებულია ტანკერ „ქერჩის“ კოლექტივი. მისმა მეზღვაურებმა რეისების დროს დაზოგეს დიდძალი საწვავი და საპოხი მასალები, ასობით დგომის საათი.

მალალ მაჩვენებლებს მიაღწია აგრეთვე სანაოსნოს ბათუმის სბაბზო ნავსადგურმა. მას საქართველოს საზღვაო ჭიშკარს უწოდებენ. მსოფლიოს თითქმის ორმოცდაათი ქვეყნის ასზე მეტ ნავსადგურში შედიან ახლა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერები და მშრალტვირთიანი გემები. ბათუმის ნავსადგურიდან ხორციელდება ნავთობპროდუქტების გადაზიდვა აზოვ-შავი ზღვის აუზში, ატლანტიკაში სარეწაოდ გასული საბჭოთა თევზსაჭერი ფლოტილების მომარაგება სათბობით.

მოწინავე ტანკერების მეზღვაურებს, რომლებმაც გაიმარჯვეს სოციალისტურ შეჯიბრებაში, ახალი, 1982 წლის ვადამდე შეხვედრა მიულო